პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 25 მარტი, 1945 წ. № 60 (7275). ფასი 20 კაპ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ივანოვს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოიგერიეს გერმანელთა თერთმეტი სატანკო დივიზიის იერიშები ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით, მოჰქანცეს ისინი თავდაცვით ბრძოლებში, შემდეგ გადავიდნენ შეტევაზე, გაანადგურეს გერმანელთა სატანკო ჯგუფი და 70 კილომეტრით წაიწიეს წინ 100 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტზე.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები სეკეშფეხერვარი, მორი, ზირეზი, ვესპრემი, ენინგი, აგრეთვე 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ფრონტის ჯარებმა ამ ბრძოლებში ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 6.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს და ხელთ იგდეს 745 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 800-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გლაგოლევის, გენერალ-ლეიტენანტ ზახვატაევის, გენერალ-პოლკოვნიკ ტროფიმენკოს, გენერალ-ლეიტენანტ გაგენის, გენერალ-მაიორ როჟდესტვენსკის, გენერალ-მაიორ დერევიანკოს, გენერალ-ლეიტენანტ მირონოვის, გენერალ-მაიორ ბირიუკოვის, გენერალ-მაიორ კოზაკის, გენერალ-ლეიტენანტ გორიაჩევის, გენერალ-მაიორ კოლჩუკის, გენერალ-მაიორ ლაზკოს, გენერალ-მაიორ ფილიპოვსკის, გენერალ-მაიორ გნედინის, გენერალ-მაიორ არტიუშენკოს, პოლკოვნიკ ლარინის, გენერალ-მაიორ ბლაჟევიჩის, გენერალ-მაიორ სერებინის, გენერალ-მაიორ დენისენკოს, პოლკოვნიკ ვინდუშევის, გენერალ-მაიორ ივანოვის, გენერალ-მაიორ აფონინის, პოლკოვნიკ მოშლიაკის, გენერალ-მაიორ მიხაილოვის, გენერალ-მაიორ კარლოვის, გენერალ-მაიორ კონევის, პოლკოვნიკ პისკუნოვის, პოლკოვნიკ ბატლუკის, გენერალ-მაიორ ნეკრასოვის, გენერალ-მაიორ ლილენკოვის, გენერალ-მაიორ ფროლოვის, პოლკოვნიკ სერგეევის, პოლკოვნიკ ხოხლოვის, გენერალ-მაიორ კულიჟსკის, გენერალ-მაიორ ბუნიაშინის, გენერალ-მაიორ ველიჩკოს, პოლკოვნიკ ტერენტიევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნედელინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ვოჟნიუკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ციკალოს, არტილერიის გენერალ-მაიორ ბრეჟნევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლებედევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლივენსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ გუსევის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნესტერუკის, არტილერიის გენერალ-მაიორ რატოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ველიკოლეპოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ გობროვნიკოვის, პოლკოვნიკ შჩელკოს, პოლკოვნიკ როშჩიცკის, პოლკოვნიკ მილკოვსკის, პოლკოვნიკ გოცაკის, პოლკოვნიკ კიის, პოლკოვნიკ შვეცის, პოლკოვნიკ ლუპანოვის, პოდპოლკოვნიკ ჟივუცკის, პოდპოლკოვნიკ ნიჟკოვის, პოდპოლკოვნიკ ლეონოვის, მაიორ მრუკალოვის, პოლკოვნიკ გუშჩინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შტრომბერგის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ საველიევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლკოვის, გენერალ-მაიორ გოვორუნენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ახმანოვის, გენერალ-ლეიტენანტ რუსიანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პაველკინის, პოლკოვნიკ სტიჟიკის, პოლკოვნიკ ოჩაროვის, პოდპოლკოვნიკ მიხნოს, პოლკოვნიკ ჟილინის, პოლკოვნიკ ოსტაპენკოს, პოლკოვნიკ გრიგოვის, პოლკოვნიკ ოგდალენკოვის, პოლკოვნიკ სახაროვის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ ლუკიანოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სუდეცის, ავიაციის გენერალ-მაიორ კორსაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ზლატოცვეტოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სჩოტჩიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ვიტრუკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ტოლსტიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტიშჩენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ გელიცკის, პოლკოვნიკ სმირნოვის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ ტერეხოვის, პოლკოვნიკ ნედოსეკინის, პოლკოვნიკ დემენტიევის, პოლკოვნიკ ულიანოვსკის, პოდპოლკოვნიკ შატილინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კოტლიარის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კიაშკოს, პოლკოვნიკ ვოდოვატოვის, პოლკოვნიკ მალოვის, პოლკოვნიკ პონიმაშის, პოლკოვნიკ ზაგრებინის, პოლკოვნიკ ბაზურინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოროლიოვის, პოლკოვნიკ შერვუდის, პოდპოლკოვნიკ სუხიხის, პოლკოვნიკ აგაფონოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოროზოვის, პოლკოვნიკ კოტკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების სეკეშფეხერვარის, ვესპრემის და სხვა დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 მარტს, 21 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა სატანკო ჯგუფის განადგურებაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 24 მარტი. № 308.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
ფრონტის შტაბის უფროსს არმიის გენერალ სოკოლოვსკის

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 24 მარტს, სილეზიაში ოდერის დასავლეთით დაიკავეს ქალაქები: ნეისე და ლეობშიუტცი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები.

ქალაქების ნეისეს და ლეობშიუტცის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გუსევის, გენერალ-ლეიტენანტ კოროვნიკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ კუროჩკინის, გენერალ-ლეიტენანტ ბუხოვეცის, გენერალ-მაიორ კოვალჩუკის, გენერალ-მაიორ გონჩაროვის, გენერალ-ლეიტენანტ ნოვოსელსკის, გენერალ-მაიორ ტრუბაჩევის, გენერალ-მაიორ შარაბურკოს, პოლკოვნიკ ზინოვიევის, პოლკოვნიკ პიპირევის, გენერალ-მაიორ გოვოროვის, გენერალ-მაიორ ისტრებოვის, პოლკოვნიკ სუხარევის, პოლკოვნიკ ეფიმენკოს, გენერალ-მაიორ პოტაპენკოს, პოლკოვნიკ ნიკანოროვის, პოლკოვნიკ კუჩერენკოს, პოლკოვნიკ პეტრენკოს, პოლკოვნიკ კაზარინოვის ჯარებმა; გენერალ-პოლკოვნიკ ლელიუშენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ უპმანის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბელოვის, პოლკოვნიკ კარეცკის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კორჩაგინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, პოდპოლკოვნიკ კარნიუშკინის ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხალკინის, არტილერიის გენერალ-მაიორ დოროფეევის, არტილერიის გენერალ-მაიორ მენტიუკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კაპატჩიკოვის, პოლკოვნიკ კოზუბენკოს არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პრონინის, ავიაციის გენერალ-მაიორ არხანგელსკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიაზანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ გორლაჩენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უტინის, პოლკოვნიკ ნიკიშინის, პოლკოვნიკ ზაჩინის, პოლკოვნიკ იუზეევის მფრინავებმა; პოლკოვნიკ გრომცევის, პოლკოვნიკ ბულახოვის, პოლკოვნიკ პოლუექტოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ იაკოვლევის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ნესტეროვის, პოლკოვნიკ შელამიტოვის, პოლკოვნიკ ოსტრენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ნეისეს და ლეობშიუტცის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 მარტს, 22 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების ნეისეს და ლეობშიუტცის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 24 მარტი. № 307.

მომზადებული შევხვდეთ შაქრის ჭარხლის თესვას

შარშან საქართველოს მეჭარხლეებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოსა და ფრონტის წინაშე. სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების რესპუბლიკური გეგმა 118,4 პროცენტით შესრულდა.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით შარშან მრავალმა კოლმეურნეობამ მოიყვანა შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავალი. გორის რაიონის სოფელ ქერეს კოლმეურნეობაში „გზა სოციალიზმისაკენ" ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 517 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამავე რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 456 ცენტნერი. ხაშურის რაიონის სოფელ ზემოოსიაურის კოლმეურნეობამ ურწყავი ნაკვეთიდან ჰექტარზე 228 ცენტნერი ჭარხალი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 155 ცენტნერისა.

მიღწევები შაქრის ჭარხლის დარგში უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება ამ კულტურისადმი.

წელს უნდა განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი და გადაჭარბებით შევასრულოთ ჭარხლის მოსავლიანობის დაწესებული სახელმწიფო გეგმა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის მარტის დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ახლა მთავარია ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჭარხლის თესვას. მეჭარხლეობის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად ემზადებიან თესვისათვის. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა დროულად შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა. ამ რაიონის სოფელ დიდი ბეკამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას საჭარხლე მინდვრებში გატანილი აქვს 300 ტონაზე მეტი ნაკელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 240 ტონისა. კარგად ემზადებიან ჭარხლის თესვისათვის გორის რაიონის სოფელ ზერტის კოლმეურნეობა „შრომა", სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი", კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის და სოფელ რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ზოგან შეანელეს ყურადღება შაქრის ჭარხლისადმი და ჩამორჩნენ თესვისათვის მზადებაში. ქარელის რაიონში დააგვიანეს საჭარხლე ნაკვეთების მიმაგრება ბრიგადებსა და რგოლებზე. გორის, სტალინირის და ქარელის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში საჭარხლე მიწები უხარისხოდ მოხნეს, ნახნავში დასტოვეს ხარვეზები, მზრალად მოხვნის სიღრმე არ აღემატებოდა 12-16 სანტიმეტრს, ნაცვლად აგროწესებით გათვალისწინებული 25 სანტიმეტრისა. ქარელის რაიონის სოფელ დირბის, ხვედურეთისა და არადეთის კოლმეურნეობებში გააჭიანურეს მინდვრად ნაკელის გატანა.

ჯერ კიდევ არის დრო გამოვასწოროთ ეს სერიოზული ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ მზად შევხვდეთ შაქრის ჭარხლის თესვის დაწყებას.

გასული წლის გამოცდილებამ ნათელი გახადა, რომ სიძნელენი შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში წარმატებით შეიძლება დაძლეულ იქნას. მეჭარხლეობის მთელმა რიგმა რაიონებმა და კოლმეურნეობებმა, რომელთაც წინათ 2-3 წლის განმავლობაში ჭარხლის დარგში დავალება არ შეუსრულებიათ, შარშან გეგმები გადაჭარბეს.

რას მოწმობს ჭარხლისათვის ბრძოლის შარშანდელი გამოცდილება?

უპირველეს ყოვლისა იმას, რომ შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა ნიადაგის კარგად მომზადება. ამჟამად სწარმოებს შაქრის ჭარხლისათვის მზრალად მოხნული ნაკვეთების ფარცხვა. საჭიროა ამ სამუშაოს დაჩქარება. დაფარცხვის შემდეგ თესვის დაწყებამდე ნიადაგის ზედაპირი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაში უნდა ვიქონიოთ.

გასული წლის გამოცდილება მოწმობს, რომ ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების ამოცანა გადაწყვეტილი არ იქნება, თუ მოკლე ვადებში არ ჩავატარებთ ჭარხლის თესვას. საჭიროა თვითეულმა კოლმეურნეობამ 3-4 სამუშაო დღეში დაამთავროს თესვა, საერთოდ რესპუბლიკამ კი—20 აპრილამდე. ეს გვავალებს ყველა სათესი მანქანა წესრიგზე მოვიყვანოთ. ჭარხლის თესლი წინასწარ უნდა შემოწმდეს საკონტროლო ლაბორატორიაში. თესვას თან უნდა მიჰყვეს ნათესის დატკეპნა სპეციალური სატკეპნებით. ჭარხლის თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მოსავლის ბედი.

გასული წლის გამოცდილება მოწმობს, რომ ჭარხლის მაღალი მოსავალი არ მიიღება, თუ საკმაო რაოდენობით არ შევიტანეთ მინერალური და ორგანული სასუქები. თესვის დროს ამ სასუქებით და სავეგეტაციო პერიოდში დამატებითი კვების სახით ნიადაგის განოყიერება მოსავლიანობის გადიდების საუკეთესო საშუალებაა. უნდა გვახსოვდეს, რომ სასუქი არა თუ მოსავლიანობას ზრდის, არამედ ჭარხლის ხარისხსაც აუმჯობესებს. კოლმეურნეობები და რაიმიწგანები ვალდებული არიან ნაკელისა და სხვა, ადგილობრივი სასუქების უფრო ფართოდ და ეფექტიურად გამოყენებას მეტი ყურადღება მიაქციონ.

გასული წლის გამოცდილება მოწმობს, რომ კოლმეურნეობებს შეუძლიათ ჭარხლის მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა ორგანიზებულად მოაწყონ. ამ ბრძოლის ღონისძიებებია ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვა, კოლმეურნეობებში საგუშაგოების გამოყოფა მავნებლების გამოჩენის შემთხვევაში სასწრაფო ზომების მისაღებად.

ჭარხლის ნორმალური განვითარების აუცილებელი პირობაა სარწყავი ქსელის კარგად მომზადება. მეჭარხლეობის რაიონების მუშაკებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს მოვიყვანოთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ხელმძღვანელობაზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჭარხლის სამუშაოებს.

წელს შაქრის ჭარხლის მეტი მოსავალი უნდა მოვიყვანოთ, ვიდრე შარშან. მეჭარხლეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობები სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან. ეჭვი არ არის, რომ ისინი ამ გამოცდას ღირსეულად ჩააბარებენ, სანიმუშოდ ჩაატარებენ ჭარხლის სამუშაოებს და მისცემენ ჩვენს ქვეყანას მეტ შაქრის ჭარხალს.

დამთავრდა ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ტირაჟი

24 მარტს დამთავრდა ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის მოგებათა ტირაჟი, რომელიც ათ დღეს გრძელდებოდა.

ტირაჟში გათამაშებულია 1.140 მილიონი მანეთის 5.700 ათასი მოგება. მათ შორის არის 50.000-მანეთიანი 500 მოგება, 25.000-მანეთიანი 4.200 მოგება და 10.000-მანეთიანი 8.000 მოგება. ნივთმოგებათა შორის არის ქალის 500 ქრაველის პალტო, ქალის 700 ჯილღოს საყელოიანი საზამთრო შალის პალტო, 2.000 ოქროს საათი, მამაკაცის 2.000 საზამთრო შალის პალტო, მამაკაცისა და ქალის 6.000 კოსტუმი, შალის 44.000 საკოსტუმე ნაჭერი, 10.000 წყვილი ფეხსაცმელი.

მოგებათა მასობრივი გაცემა დაიწყება მას შემდეგ, რაც ცხრილები გამოქვეყნებულ იქნება ცენტრალურ პრესაში. (საქტესი).

ლითონის ელექტროქიმიური დამუშავება

სტალინური პრემიის ლაურეატმა ინჟინერმა ვ. ნ. გუსევმა წარმატებით გადაჭრა ლითონის ელექტროქიმიური დამუშავების პრობლემა. ელექტროდების მის მიერ შემუშავებული რეჟიმები, განსაკუთრებულ ქიმიურ შემადგენლობათა გამოყენება ყოველივე სიმაგრის ლითონების ალესვის, ჭრის, ხეხვისა და ბურღვის ბევრად დაჩქარების შესაძლებლობას იძლევა.

ლენინგრადის ზოგიერთ საწარმოში უკვე მოწყობილია გუსევის სისტემის საწარმოო დანადგარები. ერთ-ერთ ქარხანას ძლიერ უჭირდა ლითონის ჭრა, რაზეც ორი სამქრო მუშაობდა. საწარმომ გუსევის სისტემის შვიდი დაზგა დადგა და ახლა წარმატებით აწარმოებს ჭრას. ორივე სამქრო განთავისუფლებულია დეტალების დამუშავებისაგან. (საქტესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 მარტის ოპერატიული ცნობა

24 მარტის განმავლობაში დანციგის მიმართულებით ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ქალაქი პრაუსტი და დასახლებული პუნქტები როზენბერგი, ლანგენაუ, ციპლაუ, გიშკაუ, როტმანსდორფი, შტრაშინი, იენკაუ, ბანკაუ, ჰოხ-კელპინი, კლაინ-კელპინი, ჰოლდკრუგი, ვიტომინი. 23 მარტის ბრძოლებში ამ რაიონში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 24 მარტს სილეზიაში, ოდერის დასავლეთით, დაიკავეს ქალაქები ნეისე და ლეობშიუტცი—გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ჰისმანსდორფი, მიტლერ-ნოილანდი, ჰაიდაუ, ლინდევიზე, ენელევალდე.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოიგერიეს გერმანელთა თერთმეტი სატანკო დივიზიის იერიშები ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით, მოჰქანცეს ისინი თავდაცვით ბრძოლებში, შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ, გაანადგურეს გერმანელთა სატანკო ჯგუფი და 70 კილომეტრით წაიწიეს წინ 100 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტზე.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები სეკეშფეხერვარი, მორი, ზირეზი, ვესპრემი, ენინგი, აგრეთვე 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვერტეშკეთხელი, რიდე, ბაკონსენტლასლო, ჩესნეკი, მარკო, სენტკირალსაბადია, ბალატონალმადი, ბალატონკენეშე.

ფრონტის ჯარებმა ამ ბრძოლებში ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 6.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს და ხელთ იგდეს 745 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 800-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგა 70.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მოწინააღმდეგის თერთმეტ სატანკო დივიზიას შორის განადგურებულია დასავლეთის ფრონტიდან გადმოყვანილი გერმანელთა სს მე-6 სატანკო არმიის შემადგენლობაში შემავალი ოთხი სატანკო დივიზია.

23 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 204 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 107 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ მორავსკა ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში

23 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძ მორავსკა ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში. დაბომბვის შედეგად კვანძის ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ დაარტყა გერმანელთა ტრანსპორტებს

22 მარტს წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ დაარტყა გერმანელთა ტრანსპორტებს, ნავსადგურების დანციგის, გდინიას და პილაუს რაიონში. დაბომბვის შედეგად ჩაძირულია: ნავსადგურების დანციგისა და გდინიას რაიონში—გერმანელთა 6 ტრანსპორტი 34.000 ტონა საერთო წყალწყვისა და ორი საგუშაგო ხომალდი, ნავსადგურ პილაუში—ერთი ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

დანციგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და დღის განმავლობაში ოცზე მეტი კონტრიერიში მიიტანა. დანციგის სამხრეთით საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით უტევენ, მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები დაიკავეს. სამხრეთიდან და დასავლეთიდან დარტყმებით ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი და დაიკავეს ქალაქი პრაუსტი—რკინიგზებისა და გზატკეცილების კვანძი. დანციგის დასავლეთით საბჭოთა ქვეითები და არტილერისტები ბრძოლებს ეწევიან გამაგრებული რაიონის მეორე ზოლში. დაკავებულია დიდი დასახლებული პუნქტი კლაინ-კელპინი. გდინიას სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მრავალრიცხოვანი საინჟინრო ნაგებობანი, მათ შორის მავთულღობეები, რომლებშიც ელექტრონი იყო გაშვებული, და განდევნეს გერმანელები დასაყრდენ პუნქტ ვიტომინიდან, რომელიც გდინიადან ორ კილომეტრზე მდებარეობს. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, რომელშიც არის 500 სარკინიგზო ვაგონი სურსათ-სანოვაგით, იარაღით და საჭურველით.

დანციგის ყურეში ჩვენმა ავიაციამ ჩაძირა გერმანელთა სამხედრო ხომალდი. სხვა სამხედრო ხომალდზე ხანძარი გაჩნდა. ბომბების პირდაპირი მოხვედრების შედეგად დაზიანებულია მოწინააღმდეგის 5 ტრანსპორტი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, გუშინ გააჩაღეს ბრძოლები გერმანელთა ძლიერი დასაყრდენი პუნქტის—ქალაქ ნეისესათვის. საბჭოთა მებრძოლებმა ქუჩებში წარმოებული შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავეს. გერმანელებმა რეზერვები მოიშველიეს და შეეცადნენ მდგომარეობა აღედგინათ, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ჩვენმა ჯარებმა მიწოლა გააძლიერეს, შეიჭრნენ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და იგი მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს. ქალაქი ნეისე გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძია. მასთან თავს იყრის ოთხი რკინიგზა და რამდენიმე გზატკეცილი. ნეისეში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა დიდი სამხედრო საწყობები. სხვა უბანზე ჰიტლერელები შეუპოვრად იცავდნენ სამრეწველო ქალაქ ლეობშიუტცს. ამ უბანზე მათ ახალი ქვეითი დივიზია მოიყვანეს და მრავალჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. ჩვენი ქვედანაყოფები მტკიცედ მიიწევდნენ წინ, ქალაქს ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოუარეს და მოწინააღმდეგე მარწუხში მოაქციეს. შემდეგ საბჭოთა ქვეითები და ტანკისტები იერიშზე გადავიდნენ და დაიკავეს ქალაქი ლეობშიუტცი. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 57 ტანკი და 16 ჯავშანტრანსპორტიორი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 350 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში. მარტის დამდეგს მოწინააღმდეგემ ამ რაიონში თავი მოუყარა თერთმეტ რჩეულ სატანკო დივიზიას, რომელთა შორის იყვნენ დასავლეთის ფრონტიდან გადმოყვანილი სს მე-6 სატანკო არმიის დივიზიები. გერმანელებმა, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ, ბრძოლაში გამოიყვანეს ასობით ტანკი, თვითმავალი ქვემეხი, ჯავშანტრანსპორტიორი, დიდძალი არტილერია, ავიაცია და ქვეითი ჯარის დიდი ძალები. ისინი ვარაუდობდნენ გაენადგურებინათ საბჭოთა ჯარები, ერთბაშად გადმოელახათ დუნაი და მის აღმოსავლეთ ნაპირზე ხელში ჩაეგდოთ პლაცდარმები შემდგომი ოპერაციების განსავითარებლად.

ჩვენმა ჯარებმა გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში მოჰქანცეს მოწინააღმდეგე, უდიდესი ზარალი მიაყენეს მას და გერმანელთა სარდლობის გეგმები ჩაფუშეს. ამის შემდეგ უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანა გერმანელებზე და გაარღვია მათი ძლიერ გამაგრებული თავდაცვა. გარღვევის ადგილას შემდეგ შეყვანილ იქნენ ჩვენი მოძრავი შენაერთები. საბჭოთა ჯარებმა სწრაფად წაიწიეს წინ და მოწინააღმდეგე ქალაქ მორიდან განდევნეს. ჩვენმა სხვა ნაწილებმა ბრძოლით გააჩაღეს ქალაქ სეკეშფეხერვარისათვის. გერმანელებმა ეს ქალაქი თავიანთი თავდაცვის დიდმნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტად ჰქონდათ გადაქცეული. ქალაქის მისადგომებზე მათ ბევრი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი და ძელმიწური საცეცხლე წერტი ააგეს. ქვიტკირის ყველა სახლში საცეცხლე წერტები იყო მოწყობილი. საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა ქუჩებში გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში გაანადგურეს მტრის დიდი გარნიზონი და დაიკავეს ქალაქი სეკეშფეხერვარი — ექვსი რკინიგზის კვანძი. გერმანელები განსაკუთრებით შეუპოვრად იცავდნენ დიდმნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს და ქალაქ ვესპრემს. ქალაქის რაიონში მათ კონტრიერიშზე გამოუშვეს 100-ზე მეტი ტანკი, მეტწილად „სამეფო ვეფხვისა" და „ავაზის" ტიპისა. მაგრამ მოწინააღმდეგის ყველა ცდა — შეეჩერებინა ჩვენი შემტევი ნაწილები — მარცხით დამთავრდა. ფრონტის ჯარებმა გადამწყვეტი და უნარიანი მოქმედებით გაანადგურეს გერმანელთა სატანკო ჯგუფი. შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად ქალაქი ვესპრემი გაწმენდილია ჰიტლერელებისაგან. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი მოსდის. მარტო გუშინ მოსპობილ იქნა 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დღის განმავლობაში საბჭოთა ნაწილებმა გერმანელებს წაართვეს 61 ტანკი, 6 ჯავშანტრანსპორტიორი, 76 ქვემეხი, ასობით ტყვიამფრქვევი, ავტომატი, 300-ზე მეტი ავტომანქანა და სხვა დავლა.

ქვანახშირი კვარტალური გეგმის გადამეტებით

ტყიბული (ტელეფონით „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტმა 23 მარტს შეასრულა ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის გეგმა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს უკვე მისცა 150 ტონა ქვანახშირი. შახტის კოლექტივმა შეასრულა აგრეთვე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა კვარტალური გეგმა.

ქვანახშირის მოპოვებაში კვლავ საუკეთესო შედეგებს აღწევენ იმ უბანთა კოლექტივები, სადაც უფროსებად არიან ამხ. ციკვაძე და შოთაძე. ციცხვაიას უბნის კოლექტივმა ოკისრა კვარტალური გეგმის გადამეტებით ამოიღოს 1,100 ტონა ქვანახშირი. ასეთივე ვალდებულება აიღო ამხ. შოთაძის უბნის კოლექტივმა.

დ. ქათამაძე

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ჯარებმა ფართო ფრონტით გადალახეს რაინი

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საქტესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რეესი და ვეზელი. ტყვედ წამოყვანილია ვეზელის გერმანელთა გარნიზონის მეთაური, გენერალ-მაიორი დეიხი, რომელიც ვეზელის რაიონში გერმანელთა საჰაერო თავდაცვის ნაწილებს სარდლობდა, მოკლულია.

არსებული ცნობებით, რაინი გადალახულ იქნა შვიდ ადგილას. მოკავშირეთა შეტევა სწარმოებდა კვამლის ფარდის საფარით, რომელიც 65 მილის სიგრძეზე იყო მოწყობილი.

ლონდონი, 24 მარტი. (საქტესი). როგორც ოფიციალურად არის გამოცხადებული, ამერიკის 1.050-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი თავს დაესხა გერმანელთა 12 აეროდრომს რურის ჩრდილოეთით. ბომბდამშენებს თან ახლდა 850-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი.

ფაშისტური ორგანიზაციების დათხოვნა უნგრეთში

დებრეცენი, 24 მარტი. (საქტესი). უნგრეთის დროებითმა ნაციონალურმა მთავრობამ ნაციონალური კრებისაგან მიღებულ რწმუნებულებათა საფუძველზე და დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის შესასრულებლად გამოსცა დადგენილება ყველა ფაშისტური პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის დათხოვნის შესახებ. მთავრობა ავალებს ადგილობრივ ადმინისტრაციას ამ ორგანიზაციების მთელ ქონებას, ფულსა და დოკუმენტებს და წინადადებას აძლევს მუნიციპალიტეტებს იკისრონ ამ ქონების დაცვა. ის პირები, რომლებიც განაახლებენ დათხოვნილ ორგანიზაციათა საქმიანობას ან შეეცდებიან შექმნან ასეთი ორგანიზაციები, დამნაშავეებად ითვლებიან და მიცემულ იქნებიან სამართალში.

ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲦᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ, ᲮᲘᲚᲘᲡ, ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲡ-ᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

სამამულო ომის ფრონტებიდან სასიხარულო ამბები მოდის. ჩვენი ხალხის პირმშო, გმირი წითელი არმია დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიიწევს წინ დასავლეთისაკენ და ბერლინის მისადგომებზე იბრძვის. ახლოვდება სანატრელი ჟამი საძულველ მტერზე ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვებისა...

...ცეულო კულტურები, აქედან მზრალად მოხნულზე 5,000 ჰექტარი, გაზაფხულის ნახნავზე 7,600 ჰექტარი. საგაზაფხულო ხვნა ჩავატაროთ სულ მცირე 20 სანტიმეტრ სიღრმეზე. საგაზაფხულო თესვა ბარის კოლმეურნეობებში დავამთავროთ 25 აპრილისათვის, მთის ზონის კოლმეურნეობებში 1 მაისისათვის.

2. საშემოდგომო კულტურების ნათესების ფარცხვა ჩავატაროთ ადრე გაზაფხულზე...

4. ვენახები შევსაროთ და შევყელოთ, გავთოხნოთ სამჯერ, ვაზის გაფურჩქვნა, აკვრა და მორწყვა ჩავატაროთ აგროტექნიკური ვადების დაცვით.

5. წელს ყურძნის საშუალო მოსავალი თვითეულ ჰექტარზე ავიყვანოთ 40 ცენტნერამდე.

6. მოვაწყოთ 6 ჰექტარი ვაზის სანერგე, დავამყნოთ 600 ათასი ძირი ვაზი და მივიღოთ...

3. თვითეულ ცხვარზე მივიღოთ საშუალოდ 2,5 კილოგრამი მატყლი.

4. მეცხოველეობის ფერმების მახლობელ ნაკვეთებზე გეგმის გადამეტებით დავთესოთ 70 ჰექტარი მარცვლეული და 30 ჰექტარი ძირხვენა კულტურები.

5. ყოველ კოლმეურნეობაში მოვაწყოთ მეფრინველეობის ფერმა — თვითეულ კოლმეურ...

...

ჩვენ გვსურს ... მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

1. დავთესოთ ჯიშიანი და კონდიციური თესლით 12,600 ჰექტარი საგაზაფხულო მარ-

...

3. 15 აპრილამდე შევაკეთოთ ვაზის შესაწამლი და შესაფრქვევი აპარატურა, 1,331 ჰექტარზე აგროტექნიკურ ლონისძიებათა ზუსტად დაცვით 4-ჯერ ჩავატაროთ წამლობა ბორდოს ხსნარით და 3-ჯერ გოგირდის შეფრქვევა.

...

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას ხელს აწერენ: ... ა. კაპანაძე, ვ. აბაიძე, ფ. ნადირაშვილი, შ. ოხანაშვილი, შ. ხეჩიეშვილი, ი. ელბაქიძე, ვ. გაზაშვილი, ლ. ლოლოშვილი (სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები), შ. ჩუბინიძე (რაიონული გაზეთ „სტალინელის" რედაქტორი), ... ელიკაშვილი, ტ. ნონიკაშვილი (ბრიგადირები), ა. ნოზაძე, გ. დეკანოსიძე, ა. ანდრონიკაშვილი, ნ. დაფქვიაშვილი (აგრონომები), დ. ზვიადაძე (თესლის საკონტროლო ლაბორატორიის გამგე), ქ. ბეხტაშვილი (ზოოტექნიკოსი).

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 მარტი. (ტასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარებმა შექმნეს ახალი ხიდწინა სიმაგრე რაინზე, რემაგენთან შექმნილი მათი ხიდწინა სიმაგრის სამხრეთით. მოკავშირეებმა რაინი ამ უბანზე გადალახეს 23 მარტს 22 საათზე წინასწარი საჰაერო ან საარტილერიო მომზადების ჩაუტარებლად.

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ გერმანელთა წინააღმდეგობის დარჩენილი კერების მოსპობას საარის ოლქში. ხდება აგრეთვე გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობის კერის ლიკვიდაცია კობლენცსა და ლუდვიგსჰაფენს შუა, 8 მილზე ვორმსის ჩრდილოეთით.

მოკავშირეთა ჯარებმა კიდევ ერთ უბანზე გაარღვიეს ზიგფრიდის ხაზის დარჩენილი თავდაცვითი ნაგებობანი და სწრაფად ახლოვდებიან გერმანელთა ... ლიკვიდაციას ელზასის საზღვრის გასწვრივ რაინის მახლობლად.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის მე-3 არმიის ნაწილებმა დაიკავეს შპაიერი, დაახლოებით 13 კილომეტრის ლუდვიგსჰაფენის სამხრეთით, და ქალაქი ლანდაუ, რომელიც მდებარეობს „ტომარის" გერმანელთა უკანდახევის გზაზე მოკავშირეთა მე-3 და მე-7 არმიების უბნებს შუა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 მარტი. (ტასი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ მე-3 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გაასუფთავეს მაინცი და წამოიყვანეს 3 ათასი ტყვე.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲔᲡ ᲠᲐᲘᲜᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 მარტი. (ტასი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარებმა ფართო ფრონტით გადალახეს რაინი რურის ჩრდილოეთით. რაინის აღმოსავლეთ ნაპირზე გადასხდნენ აგრეთვე საავიაციო-სადესანტო არმიის პირველი ნაწილები. ოპერაციას ხელს უწყობენ მოკავშირეთა ფლოტი და ავიაცია. ოპერაციის მონაწილე სახმელეთო ნაწილები შედიან 21-ე საარმიო დაჯგუფების შემადგენლობაში ფელდმარშალ მონტგომერის სარდლობით.

შეტევას წინ უძღოდა შემმუსვრელი საჰაერო დაბომბვა, რომელმაც უმაგალითო მასშტაბი მიიღო. მოკავშირეთა სახმელეთო ძალები რაინის გადასალახავად გაემგზავრნენ სადესანტო გემებით, რომლებსაც იფარავდა ქვემეხის სქელი ფარდა და დიდძალი ავიაცია. მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ამ მასობრივ შეტევაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ფელდმარშალ მონტგომერის შტაბმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რაინი გადალახულია ვეზელის, რეესისა და ქსანტენის რაიონში.

შტაბის ცნობით, ოპერაცია განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაწილები უკვე გადაყვანილია და დიდძალი საჭურველი გადატანილია რაინს გაღმა. მის აღმოსავლეთ ნაპირზე შექმნილია ხიდწინა სიმაგრე.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 მარტი. (ტასი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 23 მარტს ამერიკის 1,250-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი 350-ზე მეტი ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა რკინიგზის 11 დეპოს რურის ოლქში და მის ახლოს.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, „ლანკასტერის" მარკის ბომბდამშენები, რომლებსაც ახალი 10-ტონიანი და სხვა მძიმე ბომბები ჰქონდათ, თავს დაესხნენ რკინიგზის ხიდს ბრემენში.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲜᲓᲔᲑᲘ

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ „ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ" ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 მარტი. (ტასი). გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება ჰიტლერელთა ახალი ფანდის შესახებ: ისინი ჰქრებიან როგორც ვითომცდა გარდაცვლილები. სს-ელთა ჯარების პოლკოვნიკმა ოლაფ ფიკერტმა გერმანულ გაზეთებში მოათავსა თავისი ნეკროლოგი, მაგრამ ოთხი კვირის შემდეგ ნახეს, რომ იგი ბარსელონის მთავარ ქუჩებში დასეირნობდა ვილჰელმ კლაინერტის სახელით. ჰიტლერული ახალგაზრდობის შტაბის უფროსი ჰელმუტ მეკელი, როგორც იუწყებიან, „საბედისწერო უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა", მაგრამ ამის შემდეგ იგი ნახეს ესპანელი ფაშისტი სტუდენტების მეთაურ ალვარეს სერანოსთან ერთად. ლეის თანაშემწეს ვინმე რობერტ ლაიტნერს საზეიმო დაკრძალვა მოუწყეს სახელმწიფოს ხარჯზე 26 იანვარს. დაკრძალვას დაესწრნენ მაღალი თანამდებობის ნაცისტი მოხელეები და სამხედრო პირები. მაგრამ ცნობილია, რომ ლაიტნერი ცოცხალია და მოქმედებს გერმანიაში გეორგ ჰანაუერის სახელით. სს-ელთა მეთაურების კარლ დუფაისის, ჰანს შტაიდემანისა და ერნსტ ფრიკეს შესახებ აგრეთვე გამოცხადებული იყო, რომ ისინი „გარდაიცვალნენ" გერმანიაში, მაგრამ ახლა ცნობილია, რომ ისინი გამოგონილი სახელებით ცხოვრობენ ბუენოს-აირესში (არგენტინა).

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 23 მარტი. (ტასი). გაზეთების ცნობით, ჟურნალისტთა გამწმენდი კომისია შეუდგა მუშაობას. იუწყებიან, რომ უნდა იქნან ჟურნალისტები, რომლებიც ემსახურებოდნენ ფაშიზმსა და ჰიტლერიზმს, იბრძოდნენ რუმინელი ხალხისათვის უცხო ინტერესებისათვის, გასამრჯელოს იღებდნენ ღერძის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან მათ სასარგებლოდ გაწეული პროპაგანდისათვის, ამზადებდნენ საზოგადოებრივ აზრს იმისათვის, რომ რუმინეთი შეერთებოდა ღერძის სახელმწიფოებს და მონაწილეობა მიეღო გაერთიანებულ ერთა წინააღმდეგ ომში; ეწეოდნენ იმ შეხედულებათა პროპაგანდას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დემოკრატიის პრინციპებს, ანდა ავრცელებდნენ ანტიდემოკრატიულ კონცეპციებს; აქეზებდნენ ტერორისტული აქტების, მკვლელობის ჩასადენად ან მონაწილეობდნენ მათში.

პროპაგანდის სამინისტროს გადაწყვეტილებით, პროფაშისტური პოზიციისათვის დაიხურა 9 პროვინციული გაზეთი და 2 ჟურნალი, მათ შორის ბრაშოვში გამომავალი გაზეთი „ავინტული", რომლის რედაქციამიც თავის დროზე აღმოჩენილ იქნა დიდძალი ჰიტლერული პროპაგანდისტული მასალა და იარაღი, და გაზეთი „რომინია ნოუა", რომელსაც საბიუში გამოსცემდა მანიუს ნათესავი.

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

27 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „**საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა**".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენაზე. სემინარს უხელმძღვანელებენ: ქართულ ენაზე ამხ. **გორგილაძე**, რუსულ ენაზე ამხ. **გეგეშიძე**.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

25 მარტს: სახელმწიფო ოპერა — „ტოსკა". რუსთაველის სახელობის — „საპატარძლო აფიშით". მარჯანიშვილის სახელობის — „ბაგრატიონი". გრიბოედოვის სახელობის — „ფლოტის ოფიცერი". სომხური — „ვარაზდატ". ახუნდოვის სახელობის — „ვერაგობა და სიყვარული". მუსიკალური კომედიის — „როზ-მარი". სანკულტურის — „სევდიანი რომანი". მოზარდ მაყურებელთა ქართული — „შემოსავლიანი ადგილი". რუსული — „შინაურები ვართ, მოვრიგდებით".

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

25 მარტს: რუსთაველის სახელობის — „პროფესორი მამლოკი". ოქტომბერი — „მსახიობი ქალი". დამკვრელი — „მოსკოვის ცა". კომკავშირელი — „ოთხთა გული". სპარტაკი — „გრიგალი". ლუქსემბურგის სახელობის — „ჭექა-ქუხილი". 26 კომისრის სახელობის — „მუსიკალური ისტორია".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Გ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ

ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოდ, რომ თუ ვადაგადაცილებული გირაოები გამოსყიდული არ იქნება 1945 წლის 1 აპრილამდე, იმ შემთხვევაში ეს ნივთები ლომბარდის წესდების საფუძველზე რეალიზებული იქნება და ამ ნივთების რეალიზაციის გამო პრეტენზიები არ მიიღება.

მოქალაქე **ᲕᲔᲠᲐ ᲡᲘᲚᲘᲛᲐᲜᲘᲜᲘᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**, მცხოვრებმა სუნდუკიანის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

... 27/III 6 ს. კლარა ცეტკინის, 39.

შვილები ანეტა, ნინო, მიხეილ, რძალი ვერა, სიძე გიორგი მესხი, შვილიშვილი ლიანა იუწყებიან, რომ 25/III, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია თამარ სებნიაშვილის პანაშვიდი.

... მუშაკები იუწყებიან ... ქირიას დის ხონიას გარდაცვალებას.

პირველი საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან მაწვალებელ თამარ მეტრეველის დედის ანეტა ნანუაშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგესა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00267